პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 23 სექტემბერი, 1989 წელი ● № 39 (2864) ● СУББОТА, 23 СЕНТЯБРЯ 1989 г.

ახალი დადგენილების შუქზე

## მნიშვნელოვანი დოკუმენტი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკები მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 4 აგვისტოს დადგენილებას დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტის მიღება ნაკარნახევი იყო ქვეყანაში დღეს შექმნილი რთული სიტუაციით. მიმდინარე გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზმის არასწორმა გაგებამ რიგ შემთხვევაში გამოიწვია გართულებანი, დამნაშავე ელემენტების გააქტიურება, შექმნა დაუსჯელობის ატმოსფერო. შედეგად გაიზარდა დანაშაულობათა რიცხვი, გაჩნდა ორგანიზებული დანაშაულობებიც.

დასამალი როდია, რომ კანონები და დადგენილებები ადრეც გამოსულა, მაგრამ რატომღაც შინაგან საქმეთა ორგანოების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაზე არავის უფიქრია. ეს მაშინ, როდესაც ძირითადად მილიციას უხდება სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა. ამას ისიც დაემატა, რომ თითქოსდა კანონის ჰუმანიზაციის საბაბით საძიებო და სასამართლო ორგანოებმა ზომაზე მეტი შეღავათები გაავრცელეს დამნაშავე ელემენტების მიმართ.

აღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საძიებო ორგანოებმა და სასამართლოებმა მაქსიმალური სიმკაცრით განიხილონ, არ დაუშვან შემწყნარებლობა საშიში დამნაშავეების, რეციდივისტების, ორგანიზებული დამნაშავე ჯგუფების მიმართ.

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებას. ამაში შინაგან საქმეთა ორგანოებს დიდად დაეხმარება დროებითი კომიტეტების შექმნა. დადგენილებაში თუმცა პირდაპირ არ არის მითითებული რაიონებში ასეთი კომიტეტების შექმნის შესახებ, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს აუცილებელია. ეს იქნება მუშა ორგანო, რომელიც დახმარებას გაუწევს მილიციას ყველა იმ საკითხების მოგვარებაში, რაც დადგენილებაშია აღნიშნული.

გალის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ინტერესით იხილავენ ახალ დადგენილებას. შემოსულია არაერთი წინადადება და მოსაზრება.

დადგენილებაში ხაზგასმითაა მოცემული, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ სისხლის სამართლის დამნაშავეებთან ბრძოლის კრიზისულ პირობებში საგანგებო ღონისძიებების გამოყენების წესი, მათ შორის იარაღის ხმარებაზე განსაკუთრებით საშიში სიტუაციის დროს. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იარაღის გამოყენებაზე არ იქნება მკაცრი კონტროლი დაწესებული, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ რიგ შემთხვევაში მილიციის მუშაკები უსუსურად გამოიყურებოდნენ, თითქმის კატეგორიულად ჰქონდათ აკრძალული ბოროტმოქმედთა თავდასხმისას უკიდურესი ზომების მიღება, რაც ხშირად მათთვის მძიმე შედეგით მთავრდებოდა.

აღნიშნული დადგენილება მილიციის მუშაკების მუშაობის მკვეთრ გარდაქმნას მოითხოვს. ჩვენი მუშაობის ძირითადი პრინციპი უნდა გახდეს დანაშაულის პროფილაქტიკა. დამნაშავეთა დროული გამოვლენა და მათი კანონის მთელი სიმკაცრით დასჯა.

ჯ. ბაბელია

გალის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.

● გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის განსახილველად გამოტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. სკკპ მორიგი XXVIII ყრილობის მოწვევის შესახებ.

2. თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ.

პლენუმმა პირველ საკითხზე მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა და მიიღო დადგენილება — მოწვეულ იქნეს სკკპ მორიგი XXVIII ყრილობა 1990 წლის ოქტომბერში.

მეორე საკითხზე პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება.

## ოფიციალური ინფორმაცია

პლენუმმა მიიღო დადგენილება „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ“.

დასასრულ პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

● რესპუბლიკის პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების თაობაზე.



შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. მორალურად და ზნეობრივად სრულყოფილი, სპეტაკი, ჰუმანისტი — აი, როგორი მუშაკები სჭირდება შინაგან საქმეთა ორგანოებს.

ამ საპასუხისმგებლო საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ფოთის შს რაიგანყოფილების კადრების განყოფილების უფროს ინსპექტორს, მილიციის კაპიტანს მ. ძერიას, რომელიც 1979 წლიდან მუშაობს შს სამინისტროს სისტემაში. კომუნისტ მ. ძერიას წლების მანძილზე მიღებული გამოცდილება აძლევს საშუალებას თავისი მუშაობა წარმართოს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

გ. მგალობლიშვილის ფოტო.

## Учесть допущенные просчеты

**В нынешнем году сотрудникам органов и подразделений внутренних дел республики неоднократно приходилось действовать в условиях экстремальных ситуаций, вызванных обострением межнациональных отношений. Осложнение политической и оперативной обстановки в республике в текущем году со всей очевидностью показало как сильные, так и слабые стороны в организации оперативно - служебной, партийно - политической и идейно - воспитательной работы в ОВД. Оценке деятельности в этих условиях политработников системы МВД ГССР было посвящено состоявшееся на днях в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского совещание, в работе которого принял участие инструктор государственно-правового отдела ЦК КП Грузии У. Мезурнишвили.**

**ВЫСТУПИВШИИ** на совещании с докладом начальник отделения организационно-партийной работы политотдела МВД ГССР капитан милиции В. Цагарейшвили отметил, что в экстремальных условиях, сложившихся на почве межнациональных отношений в районах Нижне-Карталинской зоны в июне т. г., партийно-политическая работа в Марнеульском, Болнисском, Дманисском районах была организована по специально разработанному политическим отделом МВД ГССР плану. За всеми райотделами были закреплены сотрудники политотдела, которые на местах оказывали практическую помощь политаппарату. Кроме того, большинство групп из ОВД республики, направленных в указанную зону с целью оказания помощи, возглавляли политработники. По итогам мероприятий многие из них были поощрены.

Было организовано взаимодействие с администрацией, партийными организациями предприятий и учреждений, сельскими советами, советами трудовых коллективов с целью проведения профилактической работы среди общественности и населения.

Строгую оценку получили действия руководства и личного состава Болнисского РОВД, оказавшихся неподготовленными к решительным действиям в экстремальных условиях, проявивших в отдельных случаях растерянность, нерешительность и малодушие. По данным фактам привлечены к дисциплинарной ответственности 29 человек, в том числе трое уволены из ОВД, двое — освобождены от занимаемых должностей. Два сотрудника привлечены к уголовной ответственности. Принципиальная партийная оценка была дана происшедшему на открытом партийном собрании Болнисского РОВД. Пятеро членов КПСС наказаны в партийном порядке, в т. ч. за ослабление партийно - политической работы, недостатки в воспитании у сотрудников ответственности за порученное дело, верности Присяге, объявлен выговор бывшему заместителю начальника отдела по политчасти майору милиции А. Султанову.

Еще большая неподготовленность руководства, личного состава МВД Абхазской АССР к действиям в экстремальных ситуациях проявилась в условиях массовых беспорядков в автономной республике. В сложившейся ситуации, подчеркнул докладчик, политотдел МВД Абхазской АССР оказался неспособным оказать должное влияние на усиление воспитательной работы с личным составом, что впоследствии привело к неединичным случаям уклонения от выполнения служебного долга и фактам прямого предательства интересов службы.

Оценка действия политаппарата МВД автономной республики была дана на совещании политотдела и руководства МВД Абхазской АССР с участием представителей Абхазского ОК КП Грузии.

На совещании было отмечено, что ряд политработников, в т. ч. начальник политчасти Гагрского ГОВД капитан милиции С. Геворкян, заместитель начальника Гальского РОВД по политчасти майор милиции Д. Габелия сумели правильно организовать партийно - политическую работу среди личного состава, оказали мобилизующее влияние на сотрудников. Инициативу и стойкость проявил заместитель начальника Очамчирского РОВД по политчасти майор милиции А. Эхвая, который, практически, возглавил РОВД после самоустранения от руководства и. о. начальника райотдела Р. Хорава.

Вместе с тем были отмечены в целом серьезные недостатки и упущения в идейно-политическом воспитании личного состава, профессиональной подготовке, физической и духовной закалке сотрудников.

К наиболее негативным последствиям это привело в Сухумском ГОВД (начальник политчасти — подполковник милиции В. Джинджолия), Ткварчельском ГОВД (замполит — майор милиции Д. Шенгелия), Гульрипшском РОВД (замполит — капитан милиции Г. Квициния), Очамчирском РОВД (замполит — майор милиции А. Эхв[illegible]), Гудаутском РОВД (бы[illegible] замполит — подпол[illegible] милиции С. Беслан[illegible]

(Окончание на [illegible])

[illegible] მახათაძე, 128/44-ის [illegible] ოფიცერი, შ/ს უფროსი ლეიტენანტი.

მიმდინარეობს ანგარიშგება არჩევნები

# თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით

სულ უფრო დიდ აღშფოთებას იწვევს ჩვენს საზოგადოებაში სისხლის სამართლის დანაშაულისა და ავტოავარიების ზრდა. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ქურდობა, სხეულის დაზიანება, სპეკულაცია, ავტოავარია და სხვა სახის დანაშაული.

სწორედ ამ სახის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლებას ისახავდა მიზნად პარტიული ჯგუფების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებიც ახლახან გაიმართა ახალციხის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში.

სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილებისა და სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ერთობლივი ჯგუფის კრებაზე ძირითადი ყურადღება დაეთმო იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც მუშაობაში გააჩნიათ ამ სამსახურებს. აღინიშნა, რომ საჭიროა მეტი კონტაქტი უბნის ინსპექტორებთან, ავტოინსპექტორებთან, აგრეთვე სხვა სამსახურის მუშაკებთან, აუცილებელია პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება.

კრებამ პარტიული ჯგუფის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და პარტჯგუფორგად კვლავ აირჩია სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის მაიორი ვ. იასაღაშვილი.

სახელმწიფო ავტოინსპექციისა და სარაიონთაშორისო საგამოცდო-სარეგისტრაციო ქვეგანყოფილების ერთობლივ პარტიული ჯგუფის კრებაზე ძირითადი ყურადღება დაეთმო ავტოავარიების პროფილაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებებს, რისი გამოსწორებისათვის საჭიროა ავტოინსპექტორების საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, მათი პროფესიული დონის ამაღლება.



კრებაზე ითქვა აგრეთვე თანამშრომელთა საბინაო პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

კრებამ პარტიული ჯგუფის მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და პარტჯგუფორგად აირჩია საგზაო-საპატრულო სამსახურის უფროსი, მილიციის კაპიტანი ნ. გვარამაძე.

**ნ. თამარაშვილი,**
**ახალციხის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის კაპიტანი.**

ИДУТ ОТЧЕТЫ И ВЫБОРЫ

# АНАЛИЗИРУЯ НАБОЛЕВШИЕ ПРОБЛЕМЫ

ОСОБО ответственна проходящая сейчас в партгруппах и первичных партийных организациях отчетно-выборная кампания. Наше общество по сути переживает критический период перестройки.

В этих условиях коммунистам необходимо сосредоточить внимание на практическом решении проблем, которые обсуждаются на собраниях и митингах, в трудовых коллективах. Тон такому разговору должны задавать партийные вожаки. Подобный деловой, откровенный разговор состоялся на собрании партгруппы в СВПЧ-2 Первомайского района г. Тбилиси.

Остротой, ярко выраженной критической направленностью отличался доклад секретаря первичной организации СВПЧ-2 командира отделения старшего сержанта внутренней службы Л. Пилишвили. Докладчик отметил, что недостатки в партийной работе сказались и на оперативно - служебной деятельности подразделения, в частности, увеличилось количество пожаров и убытки от них в районе.

Далее он отметил, что на одном из 14 проведенных собраний был рассмотрен хулиганский поступок рядового Д. Пилиева, который после работы, находясь в нетрезвом состоянии, похитил на улице сумку с драгоценностями у женщины.

Ряд волнующих коллектив вопросов был поставлен в выступлениях рядового в/с З. Маргиева и сержанта в/с Т. Джиникашвили. После живого и заинтересованного обсуждения секретарем первичной партийной организации подразделения единогласно был избран рядовой З. Маргиев.



По завершении собрания состоялось вручение грамот Президиума Верховного Совета СССР и памятных медалей за мужество, воинскую дисциплину и доблесть, проявленные при исполнении интернационального долга в республике Афганистан, воинам - интернационалистам, старшим сержантам внутренней службы пожарным Н. Мчедлишвили и Х. Шиукашвили (на снимке).

**А. МАЛАЯНЦ.**

# კომკავშირს სჭირდება ავტორიტეტი

ყველაფერი ჩვეული წესით დაიწყო. როგორც გვასწავლიდნენ წლების მანძილზე, როგორც ყოფილა დღემდე. საბჭოთა და პარტიული ორგანოების შენობათა დაცვის მილიციის განყოფილების I ქვეგანყოფილების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება გახსნა ალკკ ბიუროს მდივანმა პ. დოლიძემ. 15 კომკავშირელიდან ადგილზე იყო 13. აქვე იყვნენ განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტდარგში ზ. გურგენიძე, ქვეგანყოფილების პარტჯგუფის ხელმძღვანელი ს. ალოდოშვილი და კიროვის ალკკ რაიკომის წარმომადგენელი.

მინდა მკითხველს რაღაც ახალი, განსაკუთრებული ვუთხრა კომკავშირულ ორგანიზაციაში მიმდინარე ანგარიშგება-არჩევნებზე, მინდა მოვუთხრო თუ როგორ შეისისხლხორცეს ახალგაზრდებმა დემოკრატიის პრინციპები, მაგრამ რა ვქნათ თუ კი ასეთი კრებები შს სამინისტროს კომკავშირულ ორგანიზაციაში ჯერ არ ჩატარებულა?

პ. დოლიძის მოხსენებიდან უკვე ...ჰვეთა, რომ მთელი წლის ...ზე კომკავშირულ ორგანი... ...ერთოდ არ უმოქმედია. ...ლოდ თითებზე ჩამო... ...ხომები და თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ენთუზიასტთა საქმიანობას, შეიძლება ითქვას, რომ ქვეგანყოფილებაში კომკავშირული ცხოვრება საერთოდ არ იგრძნობოდა. თუმცა უმიზეზოდ არაფერი მომხდარა. რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებმა ყველაზე მეტად სწორედ ამ ახალგაზრდებს წაართვა ძვირფასი დრო.

კრებაზე იყო ბევრი დამაფიქრებელი მომენტი, რომელიც ალბათ განსაკუთრებული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. თურმე 25-26 წლის კომკავშირელი ახლა უნდა სწავლობდეს, რომ ბიუროს შემადგენლობაში არ შეიძლება დავასახელოთ ის ამხანაგები, რომლებიც კრებას არ ესწრებიან, მით უფრო მათი დასახელება რაიმე თანამდებობაზე ელემენტარული საწესდებო მოთხოვნის უხეში დარღვევაა.

ბევრისთვის სრულიად უცხო აღმოჩნდა არჩევნების ახალი პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ დემოკრატია ჯერ კიდევ მხოლოდ ზერელედ და სიტყვით გვესმის. არც ერთი გამომსვლელი არ შეხებია პრობლემებს. არადა დაუჯერებელია დღევანდელი ახალგაზრდობა პრობლემების გარეშე... საერთოდ ქვეგანყოფილების პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობა ძალიან მოისუსტებს და ამ დროს ბიუროში არ მოქმედებს აღნიშნული სექტორი.

თითქმის სამი საათი გრძელდებოდა საანგარიშო-საარჩევნო კრება, ყოველგვარი სჯა-ბაასისა და პრობლემების ანალიზის გარეშე. მხოლოდ ერთი კია, ყველამ, დარბაზში მყოფმა ქვეგანყოფილების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის თანამდებობაზე ერთხმად აირჩია პ. დოლიძე.

დროა ვიფიქროთ კომკავშირის ხვალინდელ დღეზე, მას ავტორიტეტი დღეს ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

**მ. მოსიძე.**

# Учесть допущенные просчеты

(ОКОНЧАНИЕ)

хумском РОВД (замполит—майор милиции Д. Пачулия), где были допущены факты невыхода на службу, нарушения служебного долга, предательства, преступные проявления со стороны личного состава. Более того, политаппаратом, партийными организациями Сухумского, Ткварчельского ГОВД, Гудаутского РОВД и впоследствии не было дано принципиальной оценки действиям руководства и личного состава.

С учетом изложенного совещание приняло во внимание, что начальник политотдела МВД Абхазской АССР полковник милиции Э. Миносян отстранен от занимаемой должности, и определило ряд мер дисциплинарной ответственности политработников. Совещание сочло возможным объявить: строгие выговоры—В. Джинджолия, Д. Шенгелия, Г. Квициния; выговоры — Д. Пачулия, А. Эхвая. Решено с учетом перехода на другую работу вопрос партийной ответственности С. Бесландзе решить на собрании первичной партийной организации Гудаутского РОВД.

16—19 июня непосредственно после поступления информации о нападениях на здания ГРОВД в Западной Грузии, захвате оружия и боеприпасов на места были направлены сотрудники политотдела МВД ГССР в составе бригад оргинспекторского отдела, ИЛСа и УК и УООП для изучения причин и обстоятельств случившегося.

Как показало изучение, в большинстве ГРОВД были предприняты попытки сопротивления, в ходе которых в целом свыше 30 работников ОВД получили телесные повреждения. Благодаря мерам, предпринятым руководством ряда подразделений внутренних дел (УВД г. Кутаиси, ГОВД Цхалтубо, Ланчхутского, Чиатурского, Сачхерского, Хашурского, Боржомского РОВД и др.), удалось сохранить как табельное, так и другое оружие. Политработники, не откомандированные во время нападений из районов, постоянно находились с личным составом. Активно проявили себя замполиты Зестафонского и Озургетского РОВД майоры милиции А. Аревадзе и Г. Гиоргадзе, которые личным примером мобилизовали сотрудников на отпор нападавшим и защиту оружия. Замполиты Зугдидского и Потийского ГОВД, Цаленджихского, Самтредского, Абашского, Ванского, Ткибульского, Харагаульского и Маяковского РОВД были откомандированы с личным составом в Абхазскую АССР и районы Нижнего Картли, где проявили себя с положительной стороны.

Следует отметить, что с учетом обстановки политаппарат еще после апрельских событий в г. Тбилиси был ориентирован на необходимость усиления индивидуально - воспитательной и политической работы с личным составом. Особый упор был сделан на воспитание у сотрудников чувства интернационализма, ответственности и служебного долга, верности Присяге, на разъяснении того, что советская милиция служит не групповым, либо узконациональным интересам, а всему народу, руководствуясь законами социалистического государства, а также на необходимости улучшения морально - психологического климата и повышения профессиональной подготовки личного состава для действия в экстремальных условиях.

Конкретные рекомендации по данным вопросам содержались в разосланных на места материалах. Однако должных выводов многими руководителями и политработниками сделано не было. В результате, даже с учетом объективных условий — давлением со стороны тысячных толп населения районов, среди которых были женщины и дети, ослаблением численного состава ОВД, — сотрудники не проявили должной организованности, стойкости в отношении нападавших.

Более того, замполиты Амбролаурского, Чохатаурского, Хобского, Сенакского, Мартвильского РОВД, находясь во время нападения на здания райотделов с личным составом, проявили пассивность и не смогли мобилизировать личный состав на достойный отпор экстремистам. К особо тяжелым последствиям это привело в Амбролаурском РОВД, где без какого-либо сопротивления было похищено в большом количестве табельное оружие. Следует отметить, что впоследствии замполитом Сенакского РОВД была проведена активная работа по возвращению похищенного оружия, лично изъято 12 ед. автоматов и другого нарезного и охотничьего оружия.

Происшедшее явилось следствием серьезных упущений в организации политической и идейно-воспитательной работы с личным составом, низкой боевой и служебной подготовки сотрудников. Неспособность работников ОВД правильно оценивать обстановку, планировать и организовывать свои действия, плохое владение оружием и слабая физическая подготовка привели к тому, что участились случаи гибели и ранений сотрудников при исполнении служебных обязанностей. Ответственность за это наравне с начальниками ГРОВД должны нести и политработники.

Вместе с тем вызывает беспокойство стремление отдельных начальников и командиров ОВД самоустраниться от проведения воспитательной работы с личным составом, полностью переложить ответственность за нее на политработников. Подобные действия подрывают авторитет как руководства, так и политработников, не способствуют формированию здоровой морально - психологической атмосферы среди личного состава.

Действиям руководителей, личного состава ОВД в экстремальных условиях, сказал в заключение докладчик, была дана острая критическая оценка на открытых партийных собраниях, проведенных в соответствии с разработанным политотделом МВД ГССР графиком во всех ГРОВД, подвергшихся нападениям.

На совещании выступили замполиты Амбролаурского РОВД майор милиции А. Понджавидзе, Хобского РОВД старший лейтенант милиции А. Вардия, Цаленджихского РОВД майор милиции Г. Каландия, Мартвильского РОВД капитан милиции Ш. Гегия, Зугдидского РОВД майор милиции Т. Сичинава и Чохатаурского РОВД капитан милиции Т. Джинчарадзе, которые критически оценили свои действия и действия своих подчиненных, дали оценку морально - психологического климата в подразделениях, их готовности и планам действий в случае повторения аналогичных ситуаций.

Итоги совещания подвел заместитель начальника политического отдела МВД ГССР полковник милиции Л. Горгодзе.

# ვინ იღებს ქრთამს...



**ჩვენი** გაზეთის მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ ბოლო ორი თვის მანძილზე რესპუბლიკის, განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოს ზონის შს განყოფილებების მუშაობაში ძირითადი აქცენტი გადატანილია რიგი განყოფილებებიდან გატაცებული იარაღის მოკლე ვადაში და სრულად ამოღებაზე.

ამასთან ერთად განყოფილების თანამშრომლები, ისევე როგორც მთელ რესპუბლიკაში განაგრძობენ თავიანთი პირდაპირი მოვალეობის შესრულებას. ასე მაგალითად რაიგანყოფილების სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის თანამშრომლების მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე 1989 წლის 2 აგვისტოს დადგენილ იქნა, რომ ხობის სოც. უზრუნველყოფის ზონის ინსპექტორმა მ. ლ-მ მოქალაქე ი. თ-საგან ქრთამის სახით აიღო სამი ათასი მანეთი, მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგულის“ გამოყვანაში ხელშეწყობის დაპირებით. მანვე მოქ. ო. ხ-საგან ქრთამის სახით მიიღო ორი ათასი მანეთი, გადამეტებული ოდენობით პენსიის დანიშვნის შეპირებით. ზემოთ ხსენებული მოკვლეული მასალების საფუძველზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში მიიღო რაიონის პროკურორმა.

აღსანიშნავია, რომ ეს არის რაიონის ტერიტორიაზე მიმდინარე წელს გამოვლენილი მექრთამეობის მეორე ფაქტი. პირველი ფაქტი გამოვლინდა მიმდინარე წლის 12 ივნისს — ხობის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის ინსპექტორმა ვ. გ-მ მოქალაქე ლ. ბ-სგან დაზღვევის თანხის ზედმეტად გამოწერისათვის ქრთამის სახით აიღო 500 მანეთი. ჩატარებული მოკვლევის შედეგად 1989 წლის 12 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ სსკ 189 მუხლის პირველი ნაწილით. ამჟამად საქმე განსახილველად გადაგზავნილია სასამართლოში. მილიციის მუშაკები მომავალშიც შემართებით იბრძოლებენ ნეგატიური მოვლენებისა და სამართალდარღვევების გამოსავლენად და აღსაკვეთად.

**მ. ბერბაია,**
**ხობის შს რაიგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.**

* * *

**სურათზე:** ხობის შს რაიგანყოფილების სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი რ. ანდღულაძე და ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ო. ჯაიანი, ეცნობიან ახალ საქმეს.

## მილიციის სადაგი დღეები







**გაგრის** შს საქალაქო განყოფილების საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომელი, მილიციის კაპიტანი, სკკპ წევრი ჰამლეტ შონია შს ორგანოებში 1972 წლიდან მსახურობს. დამთავრებული აქვს კრასნოიარსკის უნივერსიტეტის იურიდიული განყოფილება, დაჯილდოებულია სამივე ხარისხის მედლით — „უმწიკვლო სამსახურისათვის“. 1987 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში განყოფილებაში დაიკავა პირველი ადგილი, ხოლო გასულ წელს ისევ საუკეთესო იყო, ამჯერად, აფხაზეთის შს განყოფილებების თანამშრომელთა შორის.

**ზუგდიდის** შს საქალაქო განყოფილების ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების ადმინისტრაციული პრაქტიკის უფროსი ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი, სკკპ წევრი ბორის ჯიქია 1970 წლიდან მსახურობს შს ორგანოებში. იგი დაჯილდოებულია სამივე ხარისხის მედლით — „უმწიკვლო სამსახურისათვის“.

**საქართველოს** სატრანსპორტო შს სამმართველოში დიდი ყურადღება ეთმობა თანამშრომელთა საბრძოლო მომზადებას. სურათზე ასახულია სასროლეთზე ერთ-ერთი ვარჯიშის მომენტი.

**ბ. გურამიშვილის** ფოტოები.

---

**ВЫШЕЛ** в свет очередной, восьмой в нынешнем году, номер журнала «Советская милиция», который открывается статьей «1710 километр» — о взрыве газопровода на территории Башкирской АССР, повлекшем гибель пассажиров поездов, и действиях сотрудников милиции автономной республики в этой экстремальной ситуации.

В номере опубликованы статья заместителя министра внутренних дел СССР генерал - лейтенанта внутренней службы Ю. Д. Журкина «Победить бюрократа», очерк майора милиции А Ермолаева «Выстрел в сердце» о народном депутате СССР сотруднике Средневолжского УВДТ И. Сорокине, подборка писем читателей под заголовком «Наболело...», размышления ветерана труда В. Петрова о паспортной системе в СССР после публикаций в журнале «Огонек» и других массовых изданиях.

Несомненный интерес для читателей представляют статья специального корреспондента журнала лейтенанта милиции В. Титова «Бунт» на дворцовой...», комментарий к письмам читателей первого заместителя начальника ГУБХСС МВД СССР генерал - майора милиции Н. П. Соболя «Без оглядки на главк», статья «Нужна помощь, а не дискуссия» начальника ЭКУ МВД СССР полковника милиции В. Снеткова, очерк В. Денисова «Пуля на ладони», заметки генерал - майора, доктора исторических наук, профессора В. Некрасова «Оплачено дорогой ценой» — о видном революционере, одном из первых руководителей НКВД Г. И. Петровском, другие публикуемые в номере материалы.

# В добрый путь, молодое пополнение

**В АУДИТОРИЯХ** и учебных классах Тбилисского факультета МВШМ МВД СССР в эти дни необычно тихо — позади осталась напряженная пора вступительных экзаменов, ведется планомерная подготовка к новому учебному году. Подготовка к экзаменам на факультете велась в нынешнем году, как всегда, тщательно, было сделано все возможное, чтобы они прошли в обстановке доброжелательности и объективности, помогли отобрать в число слушателей самых лучших как по уровню знаний, так и морально-деловым качествам.

По инициативе руководства факультета к экзаменам была допущена большая группа сотрудников ОВД из пострадавших от стихийного бедствия районов Армении и Аджарской АССР, причем, посланцы братской республики сдавали экзамены на родном языке. Немало новшеств было внесено и в сам процесс сдачи экзаменов, их программу, в частности, впервые в билеты были внесены вопросы по истории Грузии и Армении. В течение двух месяцев, с 15 июня по 15 августа, для поступающих были организованы консультативные занятия.

К работе предметных комиссий вместе с профессорско-преподавательским составом факультета и МВШМ МВД СССР были привлечены специалисты многих высших учебных заведений столицы республики, а также работники Глданского РК КП Грузии и Глданского райкома комсомола, депутат Верховного Совета ГССР Ц. Сурманидзе, представители Народного фронта Грузии — заместитель председателя НФ старший научный сотрудник Института грузинской литературы им. Шота Руставели АН ГССР кандидат филологических наук К. Имедашвили и руководитель секции НФ доцент кафедры политэкономии ГПИ кандидат экономических наук Г. Гоголадзе.

К сожалению надо отметить, что не все выдержали испытания, уровень знаний части абитуриентов явно не соответствовал предъявляемым требованиям, что в результате сказалось на ходе и итогах экзаменов. В частности, первый по счету экзамен по обществоведению не смогла пройти почти половина из 270 поступающих на очное отделение абитуриентов.

— Принципиальность и объективность, проявленные членами приемных комиссий, позволили отобрать в число слушателей факультета наиболее достойных, — говорит начальник ТФМВШМ МВД СССР генерал-майор милиции Г. Кванталиани. — Среди тех, кто успешно преодолел все испытания — 10 абитуриентов из Армении, Т. Абашидзе, З. Беридзе, З. Вашакидзе, И. Давитадзе, М. Думбадзе, Х. Иремадзе, Т. Махарадзе, Т. Микеладзе, А. Тебидзе, Д. Турманидзе, Н. Чхиквадзе, З. Шавадзе и Э. Шарашидзе — из Аджарии, депутат Верховного Совета СССР З. Курашвили, проявившие мужество при спасении граждан во время трагических апрельских событий сотрудники ППС г. Тбилиси младшие сержанты милиции Г. Арабули и З. Кекелашвили, другие передовые сотрудники органов внутренних дел республики. Впереди у них годы учебы и хочется пожелать им сделать это время как можно более плодотворным, получить хорошие знания и прочные профессиональные навыки, стать настоящими специалистами, достойными продолжателями дела старших поколений стражей правопорядка.

**А. ЛЬВОВ.**

# სტუმრად არიან შეფები

**1989 წლის** მაისში საქართველოს კპ გარდაბნის რაიონული კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე მსჯავრდადებულებზე შრომა-გასწორების ზემოქმედების ეფექტურობის ამაღლების, სამართალდამრღვევთა აღზრდა-გამოსწორებაში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობის მიზნით მუხროვანის დაწესებულებას გამოეყო შეფი ორგანიზაციები: გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, თბილსრესი და გარდაბნის სარაიონო კულტურის სახლი.

და აი 10 სექტემბერს მუხროვანის დაწესებულებას ესტუმრნენ თბილსრესის თანამშრომლები, ომის ვეტერანები გარდაბნის რ-ნის დამსახურებული მუშაკები: ივანე ჩერვიაკი და ვალერიან გერმანაშვილი. მათ მოსვლას წინასწარი მოსამზადებელი ეტაპი ახლდა თან. მუხროვანის კოლონია-დასახლების ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმით შეფებთან შეხვედრა გაიმართა მეთოდურ კაბინეტში. შეფებს შეხვედრა ელოდათ ძნელად აღსაზრდელ მსჯავრდადებულებთან. ეს ის მსჯავრდადებულებია ვინც კოლონია-დასახლებაში არღვევენ არსებულ სარეჟიმო მოთხოვნებს. მათ რიცხვს ძირითადად მიეკუთვნებიან ახალგაზრდული ასაკის მსჯავრდადებულები.

შეხვედრა გახსნა კოლონია-დასახლების უფროსის მოადგილემ პოლიტნაწილში, შს კაპიტანმა შ. ბითაძემ. მან აღნიშნა, რომ შეფების სტუმრობა დაწესებულებაში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იმ ძირითად ღონისძიებათა წარმატებისა, რომელსაც ჩვენი დაწესებულება ატარებს მსჯავრდადებულთა აღზრდა-გამოსწორების მიზნით.

მან შეხვედრის მონაწილეებს გააცნო საშეფო მუშაობის ერთობლივი ღონისძიებების გეგმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ ასეთი შეხვედრებით და ამ ღონისძიებათა მაქსიმალური ჩატარებით შეიძლება მსჯავრდადებულების ხელახლა აღზრდა.

შეფები, პატივცემული ი. ჩერვიაკი და ვ. გერმანიშვილი მსჯავრდადებულებს ესაუბრნენ მათ მიერ განვლილ ცხოვრებაზე, როგორ იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში, რა საქმიანობას ეწევიან თბილსრესის მოწინავე ადამიანებთან ერთად. ილაპარაკეს მათი საწარმოს წარმატებებზე, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა გარდაბნის რაიონში. ვ. გერმანიშვილმა მსჯავრდადებულებს უამბო იმის შესახებ, თუ რა მუშაობას ატარებს სასამართლოს შემადგენლობაში საქმეების განხილვისას, როგორც გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს მსაჯული და ა. შ. ხოლო ი. ჩერვიაკმა ისაუბრა მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე, როგორც თბილსრესის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ შეფები ხშირი სტუმრები იქნებიან კოლონია-დასახლებაში და მიიღებენ მონაწილეობას დაწესებულების ადმინისტრაციული კომისიის მუშაობაში, რომელიც მსჯავრდადებულთა პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლების საკითხებს ეხება.

**ა. მახათაძე,**
**დაწესებულება უი 128/44-ის პოლიტნაწილის უფროსი ინსტრუქტორი, შ/ს უფროსი ლეიტენანტი.**



## თანამშრომელთა პროფესიული და საბრძოლო მომზადებისათვის

**საქართველოს** სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრებში დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომელთა პროფესიულ და საბრძოლო მომზადებას. ამ საქმეს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები, სპორტის ინსტრუქტორები.

სურათებზე ასახულია მომენტები, როდესაც შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლები ეუფლებიან ხელჩართული ბრძოლის ილეთებს და მიზანში ზუსტ სროლას.



## ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

**Сегодня под этой утвердившейся на страницах нашей газеты рубрикой мы начинаем публикацию материалов, в которых найдет свое отражение передовой опыт, накопленный органами и подразделениями внутренних дел различных регионов страны, будет даваться анализ наиболее актуальных на сегодняшний день проблем борьбы с преступностью. В дальнейшем будет продолжена и публикация материалов о работе правоохранительных органов зарубежных стран.**

# КАЧЕСТВЕННО НОВЫЙ ПОДХОД К ОРГАНИЗАЦИИ ДОБРОВОЛЬНЫХ НАРОДНЫХ ДРУЖИН

**В СВЯЗИ** с отменой существовавших ранее форм поощрения дружинников активность ДНД Темиртау Карагандинской области резко снизилась. Это негативно сказалось на правопорядке в городе. С учетом пожеланий трудовых коллективов, общественных организаций УВД обратилось в горсовет с предложением создать постоянно действующий сводный оперативный отряд дружинников. 20 апреля исполком принял соответствующее решение. Утверждено новое положение об оперативном отряде, установлена его численность — 270 человек.

Принципиально новым стало освобождение от исполнения основных трудовых обязанностей наиболее подготовленных членов ДНД с откомандированием их в распоряжение УВД на срок не менее трех месяцев и сохранением за ними среднего заработка. С 1 мая спецотряд приступил к работе. Им руководит городской штаб ДНД. Для координации действий с органами внутренних дел в УВД выделен работник службы охраны общественного порядка. Дружинники распределены следующим образом: за ротой ППС закреплено 36 человек, в каждый из 17 общественных пунктов охраны порядка направлено по 6—8 человек, выделены дружинники в отделы уголовного розыска, БХСС, инспекцию по делам несовершеннолетних.

Режим их работы устанавливается в зависимости от порученного участка и с учетом требований законодательства о труде. Например, в патрульно - постовой службе разработан такой график дежурств, при котором 70 процентов членов ДНД дежурят вечером в выходные и праздничные дни. Отгулы предоставляются в удобное для них время. На общественных пунктах охраны порядка они находятся, как правило, с 16 часов. Командир, его заместитель и штаб в количестве 6 человек контролируют и учитывают работу дружинников.

Первые результаты деятельности сводного отряда свидетельствуют в пользу новой формы участия общественности в охране порядка. Возросло число лиц, задержанных за мелкое хулиганство, доставленных в медвытрезвитель, привлеченных к административной ответственности за появление в общественных местах в нетрезвом состоянии. Стабилизировалась уличная преступность, снизилось количество хулиганских проявлений.

### ВНИМАНИЮ ЧИТАТЕЛЕЙ!

**РЕДАКЦИЯ журнала «Сабчота самартали» сообщает, что в нынешнем году вместо 6 номеров будет выпущено 10, для чего подписчикам необходимо дополнительно внести стоимость 4 номеров, что составляет 2 рубля 40 копеек.**

**Просим руководителей, политработников, секретарей первичных партийных организаций органов и подразделений внутренних дел республики обеспечить организацию подписки на текущий и будущий год.**

### გრძელდება ხელმოწერა გაზეთ „მებრძოლ გუშაგზე"

გაზეთზე წლიური ხელმოწერის ფასია 3 მანეთი და 12 კაპიკი. რედაქცია გთხოვთ დროულად ჩაატაროთ ხელმოწერა გაზეთზე.

გამოცემის ინდექსია — 66639. ხელმოწერა გრძელდება 1 ოქტომბრამდე.

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

**ЗАПАДНОГЕРМАНСКИХ** женщин за равные с мужчинами правонарушения ожидает более мягкое наказание. К этому выводу пришли, изучив 7 тысяч уголовных дел, исследователи города Гиссен Р. Гайслер и Н. Марисселн. Анализировались случаи самого различного характера — от мелких краж до убийств. Даже если судьи рассматривают те категории преступлений, где женщины, безусловно совершили воровство в магазинах самообслуживания, к ним относятся снисходительнее, чем к мужчинам.

**ზ. გოგია**

# „თანამედროვე ატა"

### (დოკუმენტური რომანი)

წამიერი პაუზის შემდეგ ელისო ჯაველიშვილი მიხვდა, რომ შეცდომა დაუშვა, მიხვდა, რომ ნერვებმა უღალატეს, მიხვდა, რომ რეზოსთან შეხვედრის ამბავი თუ იცოდნენ ალბათ კიდევაც წავიდნენ შესახვედრად და რეზოს დააკავებდნენ, მაგრამ მისმა გონებამ უსწრაფესად გადაამუშავა ბევრი წვრილმანი და ბოლოს გაიფიქრა „იქნება მათ ეს გაიგეს 11 საათის შემდეგ და ველარ მოუსწრეს რეზოს". შეეცადა შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

— რა მერე, მოქალაქე ჯაველიშვილო, რა გაინტერესებთ? — გამომძიებელმა შეგნებულად აუარა გვერდი ჯაველიშვილისათვის საინტერესო კითხვებზე პირდაპირი პასუხის გაცემას.

ჯაველიშვილმა თავი ხელში აიყვანა, ოდნავ დაწყნარდა და უპასუხა:

— არაფერი, არაფერი, მე თქვენ არ გისმენდით, ჩემთვის რაღაცას ვფიქრობდი და უცებ მეც არ ვიცი, რატომ და რისთვის წამოვიყვირე.

— არ მისმენდით? — გააგრძელა სიტყვა ყანჩაველმა — ხომ არ გაგიმეოროთ ქალბატონო კითხვა? — ჰკითხა ყანჩაველმა და ნათქვამში ირონიაც გაურია.

— დიახ, დიახ რა გაინტერესებდათ არ ვიცი — ხელოვნური თვალთმაქცობით იკითხა ჯაველიშვილმა.

გამომძიებელმა თავიდან დაიწყო:

— თქვენ განაცხადეთ, რომ პიროვნებას რეზო ქლენტის სახელითა და გვარით არ იცნობთ არა?

— მე ნამდვილად არ ვიცნობ, — უტიფრად განაცხადა მან.

გამომძიებელმა თვალი თვალში გაუყარა. ასე უყურეს ერთმანეთს რამდენიმე წამი.

— მაშ, თქვენ ამბობთ, რომ არ იცნობთ არა? — ისევ ჯიუტად გაუმეორა გამომძიებელმა.

— არა ბატონო გამომძიებელო, — უპასუხა ჯაველიშვილმა.

— თქვენ დღეს, 27 იანვარს, დილის 11 საათზე პაემანი არ გქონიათ სასტუმრო — „კოლხეთთან" ავტომანქანების სადგომზე?

— არა, არ მქონია — ისევ ისე, უტიფრად განაცხადა ჯაველიშვილმა.

ყანჩაველმა ტელეფონის ყურმილი აიღო და მორიგეს უთხრა, რომ მასთან შემოეყვანათ გალია სოკოლოვსკაია, თან თვალი არ მოუშორებია ელისო ჯაველიშვილისათვის. სოკოლოვსკაიას ხსენებაზე ჯაველიშვილი წამოენთო, მოუსვენრად ატოკდა, თვალები გაუფართოვდა, აუთამაშდა, შეშლილს დაემსგავსა.

სანამ აბას ოღლი სოკოლოვსკაიას შემოიყვანდა, ყანჩაველმა, რომელმაც კარგად შეამჩნია მის სახეზე მომხდარი ცვლილებები, ჰკითხა:

— გნებავთ შემოვაყვანინებ გალია სოკოლოვსკაიას, ალბათ მასაც არ იცნობთ არა? თქვენთან ერთად რომ იჯდა საკანში და განთავისუფლებისას რომ დააბარეთ რეზო ქლენტთან შეხვედრა და მისი გაფრთხილება..

— როგორ გნებავთ, შემოვიყვანოთ თუ არა? — ჰკითხა ყანჩაველმა.

— არა, არა, არ დამანახოთ, თორემ დავახრჩობ, — იკივლა ჯაველიშვილმა და ყანჩაველი მიხვდა, რომ გალია სოკოლოვსკაიას შემოყვანა მართლაც არ ღირდა.

ყანჩაველი წამოხტა სკამიდან და გარეთ გავარდა. ზუსტად მაშინ აღმოჩნდა დერეფანში, როდესაც აბას ოღლი სოკოლოვსკაიასთან ერთად უახლოვდებოდა მისი სამუშაო ოთახის კარებს.

მან ხელით ანიშნა აბას ოღლის უკან წაიყვანეო და ოთახში შებრუნდა.

მან კარგა ხნის შემდეგ ისევ მიმართა ჯაველიშვილს:

— აბა გისმენთ, რას გვეტყვით რეზო ქლენტის შესახებ? როდის გაიცანით, რამდენი ხანია ინტიმურ ურთიერთობაში ხართ მასთან? როდის, რა ვითარებაში მიაწოდეთ მას ცნობა ბალაშვილების ოჯახში არსებული ფულის შესახებ?

ელისო ჯაველიშვილი მიხვდა, რომ დამალვას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მიხვდა, რომ გამომძიებლისათვის ყველაფერი ცნობილი იყო და... კარგა ხნის ფიქრისა და განსჯის შემდეგ დაწვრილებით მოუყვა ყანჩაველს რეზო ქლენტთან ურთიერთობის ამბავი. რასაკვირველია, ის პირადი, ის მხოლოდ მისთვის და რეზოსთვის რომ იყო გასაგები, სხვისთვის რომ გაუგებარი და ხელშეუხებელი იყო, ის არ მოუყვა. გამომძიებელმა ჯაველიშვილს ქლენტთან ურთიერთობის წვრილმანის მოყოლაც სთხოვა. ელისო ყოყმანობდა, მას არ სურდა ყველაფრის ისეთი სახით განმეორება, უფრო სწორედ მოყოლა, როგორსაც გამომძიებელი თხოულობდა, მაგრამ გამომძიებელმა დაარწმუნა, რომ ამას გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ჯაველიშვილმაც ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ალბათ აწონ-დაწონა ყველაფერი და დათანხმდა.

..გავიდა ხუთი დღე მას შემდეგ, რაც რეზო ქლენტი ღამის თერთმეტ საათზე გამოვიდა ელისოს ბინიდან, ის იმ რწმენით გამოვიდა, რომ ალბათ ელისოსთან აღარ დაბრუნდებოდა. გავიდა რამოდენიმე დღე, რეზოს არ უნდოდა თავს გამოსტყდომოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მიუხედავად მობეზრებისა, ელისო მაინც უყვარდა. ვერ მოითმინა ელისოს უნახავად და მეექვსე დღეს, როცა მისი გამოთვლით ვახტანგი სახლში არ უნდა ყოფილიყო, ისევ ისე არალეგალურად, როგორც ყოველთვის ელისოსთან მისვლისას იცოდა ხოლმე, მივიდა, დააკაკუნა თავისებურად, ელისომ გაიგონა ნაცნობი კაკუნი და წამოხტა, კარები სულმოუთქმელად გააღო. კარებთან რეზო იდგა. იგი შევიდა სახლში, კარები მიიხურა, ერთი კი მოასწრო ეთქვა ელისოსათვის ახალი წელი მომილოცავსო და ელისომ სხვა არაფრის თქმა აღარ აცალა, შემოეხვია. ელისო პატარა ბავშვივით საყვედურობდა რეზოს ამდენი ხნით უყურადღებოდ დატოვებას და კიდევ რაღაცეებზე ტუჩებაბზუებული ელაპარაკებოდა.

— ელისო, მისმინე რა უნდა გითხრა, — უთხრა სერიოზული ტონით რეზომ.

— არაფრის მოსმენა არ მინდა, — უპასუხა ელისომ, ყელზე მოეხვია და მთელი სახე დაუკოცნა ისე, რომ რეზოს ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა.

— ელისო, მე წასვლას ვაპირებ საქართველოდან. ელისო გაქვავდა. რამდენიმე წამის შემდეგ კი იკითხა:

— საქართველოდან?! —არაბუნებრივად გააგრძელა სიტყვა.

— ხო, ხო, საქართველოდან, — უპასუხა რეზომ და ელისოს არ დააცალა, რომ რაიმე ეთქვა და სიტყვა გააგრძელა — აქ შენც კარგად იცი, რომ ამ ბოლო დროს არ მიმართლებს და იქნებ სადმე რუსეთში მივაღწიო რამეს. სულ ორი წლით წავალ და ვნახავ იქნებ გამიმართლოს, ამას ისე სერიოზულად ამბობდა რეზო, რომ ელისოს მისი სიტყვების სიმართლეში ეჭვიც არ შეჰპარვია.

ამას მოჰყვა ელისოს ხვეწნა, კოცნა, მუდარა.

— ნუ დამტოვებ რეზო, შენ ხომ იცი, რომ მე უშენოდ არ შემიძლია, — ემუდარებოდა ელისო.

— შენ ხომ იცი ელისო, რომ არც მე შემიძლია უშენოდ, მაგრამ ამჯერად ასე სჯობს, ხომ ხედავ, გამიჭირდა ცხოვრება — და რეზომ დაიფიცა, რომ ისევ ისე ეყვარებოდა, არ დაივიწყებდა ყოველთვის ეხსომებოდა.

— არა რეზო, შენ არ იზამ ამას, შენ მე სასიკვდილოდ არ გამიმეტებ, — თვალებზე მომდგარი ცრემლითა და აკანკალებული ხმით ეხვეწებოდა ელისო.

●

(დასასრული შემდეგ ნომერში).

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი". № 21-38.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართი: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 00916